ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7348370

ნომერი: AR11073361

თარიღი : 13.01.2025

გაცემის თარიღი : 20.01.2025

გაცნობის თარიღი : 24.01.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევანი ხუციშვილი პ/ნ 01005011077
- თბილისი კოსტავას ქ. 71ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების, მე-16 მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)-ის განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 500 კვ.მ. მინიმალური სიგანე 20 მეტრი და მინიმალური სიღრმე 20 მეტრი. საპროექტო მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სიგანეს 20 მეტრს. ამასთანავე საპროექტო ადგილას ფიქსირდება მდინარის წყალდაცვითი ზონა, რომლის არეალშიც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.